




მედიაცნობა

მოგზარე ღავე
შეთანხმებით





I

რა არის მედიაშია და როგორ ფუნქციონირებს იგი?

”ჩვენ იმიტომ ვართ ადამიანები, რომ შეგვიძლია ერთმანეთთან საუბარი”

(გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი 1883-1969)

ადამიანთა თანაცხოვრებას ახლავს სხვადასხვა ხასიათის დაძაბულობა, როდესაც მეგობრები, პარტნიორები, ოჯახის წევრები თუ მეზობლები შეიძლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დაპირისპირება ხშირად იზრდება კონფლიქტში, რომლის გადასაჭრელად ადამიანები უმ-




რავლეს შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს. სიტყვა „კონფლიქტი“ კი ბევრად მეტია, ვიდრე სამართლებრივი დავა. კონფლიქტი მრავალშრიანია და მოიცავს როგორც საქმესთან დაკავშირებულ გაუგებრობებს, ისევე პიროვნულ უთანხმოებებსა და განსაკუთრებით - ემოციებს. სასამართლოსათვის მიმართვისას ხდება კონფლიქტის „გარდასახვა“ სამართლებრივ პრობლემად, რომლის სასამართლოს გადანყვეტილებით აღმოფხვრვის შემთხვევაშიც კი, ისევ აღმოუფხვრელი და აქტუალური რჩება წყენა, პიროვნული პრობლემები, განცდები, ურთიერთობები.

მედიაციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთთან დაახლოოს არა სამართლებრივი პოზიციები, არამედ მოდავე მხარეთა ინტერესები. მედიაციის ფარგლებში არ განიხილება მტყუანი და მართალი, არ ვლინდება გამარჯვებული და დამარცხებული, არ ხდება წარსულში წამოჭრილი უსიამოვნებების განხილვა და განსჯა. ნაცვლად ამისა, მედიატორი — ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი — ეხმარება მოდავე მხარეებს დიალოგის წარმართვაში და ამ გზით ორივესთვის ოპტიმალური და მისაღები შედეგის ძიებაში. ამრიგად, მედიაცია არის დავის გადანყვეტა მხარეთა მორიგების გზით, ანუ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული საშუალება, რომელიც მოდავე მხარეებს

ანიჭებს შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები, პრიორიტეტები და აღმოფხვრან კონფლიქტი მეორე მხარესთან ურთიერთობის „დანგრევის“ გარეშე.

დავის ტრადიციული მეთოდებით გადანყვეტისაგან განსხვავებით, მედიაცია სწრაფი და ნაკლებხარჯიანი



პროცედურაა. თუ სასამართლოში დავამ შეიძლება სამი ინსტანცია მოიაროს, მედიაცია მხოლოდ "ერთინსტანციური" პროცესია, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ასევე მნიშვნელოვანი შეღავათები ხარჯების კუთხით (იხ. ქვემოთ). გარდა ამ შეღავათებისა, მედიაციაში მხარეებს არ უნევთ ძვირადღირებული მტკიცებულებების მოპოვება და წარმოდგენა, ვინაიდან მედიაციაში საქმე ეხება არა რაიმეს დამტკიცებას, არა სამართლებრივი პოზიციების გამყარებას, არა გამარჯვებას მეორე მხარის დამარცხების ხარჯზე, არამედ საკუთარი ინტერესების წინ წამოწევა, ერთმანეთის მოსმენას და მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარებას.

მედიაცია დავის გადანყვეტის ის საშუალებაა, სადაც გადანყვეტილებას იღებენ თვითონ (და მხოლოდ) მხარეები და სადაც დამარცხებული არავინ შეიძლება იყოს!

II

როგორ უნესიონირებს იბი?

როგორც აღინიშნა, მედიაცია მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე კლასიკური სამართალწარმოება; მასში შესაძლოა ბევრი ისეთი ინფორმაციაც გამჟღავნდეს, რომელიც შესაძლოა არ გახმოვანდეს სასამართლოში; მედიატორის როლიც განსხვავებულია. შესაბამისად, მედიაცია ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს და აქვს მახასიათებლები, რომელთა გაცნობიერება მნიშვნელოვანია.

კონფიდენციალურობა

მედიატორს არა აქვს უფლება, მხარეთა წინასწარი თანხმობის გარეშე გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის წარმოებისას.

გარდა მედიატორისა, კონფიდენციალურობის ვალდებულება ასევე ვრცელდება მხარეებსა და მედიაციის წარმოების ნებისმიერ მონაწილეზე (მაგალითად, ადვოკატზე). კონფიდენციალურობის პრინციპი ასევე დაცულია კანონით, რომელიც განსაზღვრავს, რომ დაუმჯობესებელია მედიატორის დაკითხვა მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი ახორციელებდა მედიაციას ან რაიმე სხვა

ფორმით მონაწილეობდა მედიაციაში. სასამართლო ასევე მტკიცებულებად არ მიიღებს კონფიდენციალურობის მოთხოვნის დარღვევით გამჟღავნებულ ინფორმაციას.

ნებაყოფლობითობა

მედიაცია შეიძლება დაიწყოს და განხორციელდეს ა) მხარეთა შეთანხმებით და ბ) სასამართლოს გადანყვეტილებით (იხ. II სასამართლო მედიაცია). ნებაყოფლობითობა მოიცავს როგორც მედიაციის დაწყების შესახებ გადანყვეტილებას, ისევე მის შეწყვეტას. ნებაყოფლობითობის მთავარი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ მხარეები განსაზღვრავენ მედიაციის დასრულების შედეგს; მაშასადამე, მხარეები თავად იღებენ გადანყვეტილებას მოაგვარონ დავა მორიგებით (ასეთ შემთხვევაში კი თავად განსაზღვრავენ მორიგების პირობებს) თუ გადაინაცვლონ სასამართლოში.

ვინაღიან მხარეთა ნება განმსაზღვრელია, მედიაცია წარმოუდგენელია მხარეთა უშუალო მონაწილეობის გარეშე. თუმცა, მხარეს ასევე შეუძლია დაისწროს თავისი ადვოკატიც მედიაციის პროცესში, მაგრამ მისი პირადი მონაწილეობა აუცილებელია.

მომზადება მედიაციისათვის

მედიაციის პროცესი მეტად შედეგიანი იქნება, თუ წინასწარ მოემზადებით ამისათვის. ქვემოთ მოცემულია საკითხები, რაც, სასურველია, წინასწარ გაიაზროთ. შესაძლოა, ყველა კითხვაზე ზუსტი პასუხი არც გქონდეთ და ისინი არაერთხელ შეიცვალოს მედიაციის პროცესში, მაგრამ ამ საკითხების წინასწარ გაცნობიერება ყველა შემთხვევაში სასარგებლოა:

- რაში მდგომარეობს კონფლიქტის ნამდვილი არსი/საგანი თქვენთვის? შეიცვლება თუ არა თქვენი ხედვა კონფლიქტის ნამდვილი არსის შესახებ, თუ შეეცდებით მას მეორე მხარის თვალსაწიერიდან შეხედოთ?
- არის თუ არა დავის მიზეზი გაუგებრობა ან წყენა?
- რა საკითხებზე ვერ შეჯერდით თქვენ და მეორე მხარე? რა საკითხებზე გაქვთ თანხვედრა?
- რა ინფორმაციამ, დოკუმენტმა, წესმა/კანონმა ან სხვა გარემოებამ შეიძლება შეაცვლევინოს მეორე მხარეს მიდგომა? რამ შეიძლება თქვენ შეგაცვლევინოთ აზრი?
- რას გსურთ მიაღწიოთ მედიაციის შედეგად? რა

გჭირდებათ იმისათვის, რომ კმაყოფილი იყოთ მედიაციის შედეგით? როგორ ფიქრობთ, რა ესაჭიროება მეორე მხარეს, რომ ისიც კმაყოფილი იყოს მედიაციის შედეგით?

- გაქვთ თუ არა მეორე მხარესთან მიმდინარე ურთიერთობა (სამომავლო კავშირები), რასაც საჭიროა გაენიოს ანგარიში?
- რა მოხდება, თუკი ვერ მიაღწევთ შეთანხმებას მედიაციაში? რა არის თქვენი საუკეთესო (მაგრამ რეალისტური) ალტერნატივა, თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული (რეალისტურად რას შეიძლება მიაღწიოთ ყველაზე კარგ შემთხვევაში მედიაციის გარეთ)? რა არის თქვენი ყველაზე უარესი (რეალისტური) ალტერნატივა, თუ ვერ შეთანხმდებით (რა შეიძლება იყოს ყველაზე უარესი შედეგი მედიაციის გარეთ)? მედიაციის პროცესში წარმოშობილი მორიგების შესაძლებლობები შეადარეთ ალტერნატივებს და ამასთან მხედველობაში მიიღეთ ამ ალტერნატივებთან დაკავშირებული დრო, ხარჯი, ძალისხმევა და სხვა გარემოებები, ერთი მხრივ, და რეალური შესაძლებლობა, რომ საკითხი იქვე მოგვარდეს, მეორე მხრივ.

- რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს, რომ სასამართლოში შეიძლება მოგინიოთ წასვლა, თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული?
- თუკი მედიაციაში მორიგდით, დაგჭირდებათ თუ არა ვინმეს თანხმობა, სანამ შეთანხმებას დაადასტურებთ? თუ ასეა, ჩააყენეთ მედიატორი საქმის კურსში და განიხილეთ შესაძლებლობა, რომ ეს ადამიანი დაესწროს მედიაციის სესიას, ან სულ მცირე, იგი ტელეფონით იყოს ხელმისაწვდომი/კავშირზე.

მედიაციის პროცესში

პროცესის დასაწყისში მედიაციის მხარეები და მედიატორი თანხმდებიან ე.წ. "თამაშის წესებზე", რომლებიც ყველა მონაწილემ უნდა გაითვალისწინოს მედიაციის მიმდინარეობისას. შემდეგ მხარეები ასახელებენ მათთვის აქტუალურ, პრობლემატურ, მტკივნეულ თუ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც სურთ მსჯელობა და საუბარი მედიაციის ფარგლებში. მედიატორი ასევე დახმარებას უწევს მხარეებს საკუთარი ინტერესების შეცნობაში, გააზრებაში და იმავდროულად – მეორე მხარის ინტერესების აღქმასა და გააზრებაში. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, სადაც მიმდინარეობს მუშაობა

უშუალოდ კონფლიქტსა და მის გამომწვევ მიზეზებზე. ამის შემდგომ, შესაძლოა მსჯელობა წარიმართოს პრობლემის გადაჭრის ანუ კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივაზე, რის შედეგადაც, ხშირად მხარეები აღწევენ შეთანხმებას.

მედიაციის პროცესში თქვენ შეიძლება მოისმინოთ მოსაზრება, რომელსაც არ ეთანხმებით, ან კითხვები, რომლებზეც პასუხი რთული გასაცემი იქნება. თქვენ შეიძლება მიგაჩნდეთ, რომ მეორე მხარე ცდება ან მისი პოზიცია არასწორია. პროცესი ბევრად უფრო წარმატებული იქნება, თუ თქვენ, ამისდა მიუხედავად, შეეცდებით სწორად გაიაზროთ მეორე მხარის შეხედულებები.



ყურადღებით მოუსმინეთ მეორე მხარეს და შეეცადეთ, ამოიცნოთ საკითხები, რომლებსაც ეთანხმებით. ამან შესაძლოა, უბიძგოს მეორე მხარეს, უკეთ გააცნობიეროს თქვენი მოსაზრებები.

მედიაცია არის პროცესი, სადაც ყველა მხარეს შეუძლია იყოს გამარჯვებული, სადაც პრობლემის გადაჭრა თვითონ მონაწილეების ხელშია, მაგრამ სადაც არაფერი გამოვა ერთმანეთის (სატკივრის) მოსმენის გარეშე. გვახსოვდეს, რომ "მოდავეებმა უნდა იცოდნენ, რომ არასდროს არ არის ერთი ცამდე მართალი და მეორე - მტყუანი" (გერმანელი მწერალი კურტ ტუხოლსკი 1890-1935).

მედიატორი და მისი როლი

მედიატორი არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, პროფესიონალი, რომელიც შესაბამისი მეთოდის გამოყენებით ცდილობს მხარეთა რეალური (და არა მხოლოდ სამართლებრივი) ინტერესების გამოვლენას, მათ ერთმანეთთან დაახლოებას და ამ გზით ორივე მხარისათვის სამართლიანი, ღირსეული და მომგებიანი შედეგის მიღწევას.

ყველა მედიატორი სვამს კითხვებს, რათა დაეხმაროს მხარეებს, გააანალიზონ სიტუაცია და ჩამოყალიბდნენ, რისი გაკეთება სურთ. მედიატორის როლი მდგომარეობს

იმაში, რომ კითხვების დასმით, მხარეთა მოსმენით და პროცესის მართვის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით მხარეებმა თვითონ აღმოაჩინონ მორიგების შესაძლებლობები და თვითონ მივიდნენ მისაღებ შეთანხმებამდე, ამდენად, მედიატორი, როგორც წესი, არ იძლევა რჩევებს, არ სთავაზობს საკუთარ შეხედულებებს დავის გადანუვების შესაძლებლობებზე და არ აფასებს მხარეების იურიდიულ თუ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზოგჯერ თვითონ მხარეებს სურთ, რომ მედიატორმა



გაანალიზოს მათი საქმის უპირატესობები და სისუსტეები, გაუზიაროს მათ საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს სასამართლოში, შესთავაზოს მხარეებს შეთანხმების სხვადასხვა ვარიანტი ან მისცეს რჩევები მორიგების თაობაზე. რჩევების მიცემას და მედიატორის მიერ დავის თაობაზე საკუთარი შეხედულებების გაზიარებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. ასეთ შემთხვევაში თავად მედიატორი წყვეტს, კონკრეტული გარემოებების, საკუთარი შეხედულებისა და გამოცდილების, და რაც მთავარია, მხარეების ინფორმირებულობისა და თანხმობის საფუძველზე, იტვირთოს თუ არა ეს ფუნქცია. ნებისმიერ შემთხვევაში მედიატორის მიერ მოსაზრებებისა თუ რჩევების გაზიარება ხდება მხარეებთან კერძო (დახურული) შეხვედრების დროს და არა ერთობლივი სესიის განმავლობაში. გახსოვდეთ, რომ მედიატორის რჩევას არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს; მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, გაიზიარებთ თუ არა მის მოსაზრებებს; მედიაციის პროცესში დავის დასრულების შედეგი მთლიანად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.





III

სასამართლო მედიაცია

საქართველოს კანონმდებლობა¹ აწესებს სავალდებულო მედიაციას საოჯახო (გარდა შვილად აყვანასა და მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა), სამემკვიდრეო და სამეზობლო დავებზე. აღნიშნული კატეგორიის საქმეები სასამართლომ შესაძლოა, საკუთარი ინიციატივით, მხარეებთან შეუთანხმებლად, დაუქვემდებაროს მედიაციას. სასამართლოს განჩინება დავის მედიაციისათვის გადაცემის თაობაზე საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად. მედიაციის „სავალდებულობა“ გულისხმობს მხოლოდ მხარეთა ვალდებულებას, გამოცხადდნენ მედიაციის სესიაზე (2 სავალდებულო სესია) და კეთილსინდისიერად მიიღონ პროცესში მონაწილეობა, ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, მიაღწიონ შეთანხმებას. მედიაციის პროცესში დავის დასრულების შედეგი მხოლოდ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ მხა-

¹სამოქალაქო საპროცესო კოდექსი XXI¹ თავი (187³-ე მუხლი)

რებს შეუძლიათ, თვითონ გამოთქვან სურვილი დავის მედიაციისათვის გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო მედიაციას შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერი კატეგორიის დავა (არა მხოლოდ საოჯახო, სამემკვიდრეო და სამეზობლო დავები), თუ ამაზე მხარეები შეთანხმდებიან. მედიაციის განხორციელების სურვილსა და მზაობაზე თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ სასარჩელო განაცხადის ფორმაში, მიმართოთ სასამართლოს წერილობითი განცხადებით/შუამდგომლობით ან განაცხადოთ სასამართლო სხდომის დარბაზში, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.



IV სშირად დასმული კითხვები

რა მოხდება, თუკი არ გამოვცხადდი მედიაციაზე?

სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებზე, მედიატორის მიერ დანიშნულ შეხვედრაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, ამ დავის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში თქვენ დაგეკისრებათ სასამართლო ხარჯების სრულად დაფარვა, სასამართლოში საქმის განხილვის შედეგის მიუხედავად და ჯარიმა – 150 ლარის ოდენობით.

„სავალდებულო“ მედიაცია გულისხმობს თუ არა შეთანხმების მიღწევის სავალდებულოობას?

არა. მედიაციის „სავალდებულოობა“ გულისხმობს მხოლოდ მხარეთა ვალდებულებას, გამოცხადდნენ მედიაციის სესიაზე (2 სავალდებულო სესია) და კეთილსინდისიერად მიიღონ პროცესში მონაწილეობა და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, მიაღწიონ შეთანხმებას. მედიაციის პროცესში დავის დასრულების შედეგი მხოლოდ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

რა მოხდება, თუკი შეთანხმება არ იქნა მიღწეული?

სასამართლო მედიაციის ცენტრი აცნობებს სასამართლოს, რომ მხარეებმა სცადეს მედიაცია, მაგრამ შეთანხმება არ იქნა მიღწეული. მედიაციის შემდეგ, მოსარჩელე მხარეს შეუძლია, ჩვეულებრივ მიმართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით.

ვინ იქნება ჩემი მედიატორი?

სასამართლო მედიაციის ცენტრი ნიშნავს მედიატორს ყოველ კონკრეტულ დავაზე. ამასთან ერთად, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში შეთანხმდნენ სხვა მედიატორზე სასამართლოს მიერ წარდგენილი სიიდან. თუკი მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დანიშნულ ვადაში, მედიაციას წარმართავს ცენტრის მიერ დანიშნული მედიატორი.

ყველა შემთხვევაში სასამართლო მედიაციაში მონაწილეობენ მხოლოდ სასამართლოს მიერ აკრედიტირებული მედიატორები, რომელთა სია და მონაცემები ხელმისაწვდომია მხარეებისათვის. გახსოვდეთ, მედიატორი არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი ფასილიტატორი/მეთოდისტი და მას არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

რა არის მედიაციის სესია?

მედიაციის სესიაში იგულისხმება ერთი შეხვედრა მედიაციის ჩატარების მიზნით. მისი ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1—ნ საათამდე.




რამდენ ხანს გრძელდება მედიაცია?

მედიაციის სესიის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის: საქმის სირთულეზე, მხარეთა მზაობაზე/სურვილზე, ითანამშრომლონ მედიაციის პროცესის განმავლობაში, მედიატორის ინდივიდუალურ ტექნიკაზე, ა.შ. აქედან გამომდინარე, მხარეებმა შესაძლოა, შეთანხმებას მიაღწიონ ერთ საათში, მაგრამ შესაძლოა, მედიაციამ გასტანოს 7, 8 საათიც კი – შეთანხმების მიღწევის ან მიუღწევლობის შედეგით. კანონი ადგენს 2 სავალდებულო სესიას სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ დავებზე. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება შედგეს დამატებითი სესიები.

სად და როდის დაინიშნება მედიაცია?

მედიაციის დანიშვნის დროს და ადგილს თქვენ შეგატყობინებთ და შეგითანხმებთ მედიაციის ცენტრის ადმინისტრატორი.



რა ხარ-

ჯებთან არის დაკავშირებული მედიაცია?

სასამართლო მედიაციის საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1%-ს, სულ მცირე, 50 ლარს. ხოლო თუ მხარეები მედიაციის პროცესში მიაღწევენ შეთანხმებას, მოსარჩელეს კიდევ დამატებით უბრუნდება მის მიერ გადახდილი ბაჟის 70%.

რამდენი მედიატორი მონაწილეობს პროცესში?

როგორც წესი, მედიაციას წარმართავს ერთი მედიატორი. შესაძლოა, საქმის სპეციფიკიდან ან მედიატორის პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე, მედიაციაში მონაწილეობდეს ორი მედიატორი. შესაძლოა, მედიაციას დაესწროს მედიატორის ასისტენტი, ან ახალი მედიატო-

რების წვრთნის მიზნით დამსწრე მედიატორი. ამასთან, ასეთი დამატებითი პირის (დამსწრე თუ ასისტენტი მედიატორის) მონაწილეობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოდავე მხარეების თანხმობის შემთხვევაში და ასეთ პირობებში გავრცელებულია ყველა ის კონფიდენციალურობის თუ სხვა ვალდებულება, რაც ვრცელდება მედიატორზე.


რა სხვაობაა მედიაციასა და არბიტრაჟს შორის?

არბიტრაჟი არის მართლმსაჯულების კერძო ფორმა, სადაც არბიტრი, მოსამართლის მსგავსად, იღებს გადაწყვეტილებას მხარეთა შორის არსებულ დავაზე. არბიტრის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის. მედიატორი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება; მედიაციის პროცესში მხოლოდ მხარეები წყვეტენ შეთანხმების შესაძლებლობას და პირობებს. თუკი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

რატომ უნდა ვენდო მედიატორს?

სასამართლო მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორები არიან საერთაშორისო სტანდარტებით

მომზადებული მეთოდისტები, რომლებსაც ჩაუტარდათ სპეციალიზებული წვრთნა როგორც მედიაციის პროცესის წარმართვის უნარებში, ასევე ეთიკის წესებსა და მედიაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში. ამდენად, მათ სრულად აქვთ გაცნობიერებული პასუხისმგებლობა საკუთარ საქმიანობაზე. ამასთან, კანონი პირდაპირ ანებს, რომ მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ყოველგვარი ინფორმაცია თუ დოკუმენტი კონფიდენციალურია და მედიატორს, მხარის ნებართვის გარეშე, არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია. ამასთან, მედიატორი, იმ საქმეზე, რომელზეც ის მედიატორის ფუნქციას ასრულებდა, არ შეიძლება დაიკითხოს სასამართლოში როგორც მონმე.



თუ შეთანხმება მიიღწევა, ვინ/როგორ გააფორმებს მას?
მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება შესაძლოა ქალაქში გადაიტანონ თვითონ მხარეებმა, მათმა წარ-

მომადგენლებმა, ან მედიატორი (ან მისი ასისტენტი) დაეხმაროს მხარეებს მიღწეული შეთანხმების გაფორმებაში.



რა ძალა აქვს მედიაციის პროცესში მიღწეულ შეთანხმებას?

თუ სასამართლო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიტანს განჩინებას შეთანხმების დამტკიცების შესახებ. ასეთი განჩინება საბოლოოა და მასზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.

ვინ უნდა დაესწროს მედიაციის სესიას?

მხარეები ვალდებული არიან, მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიიღონ პირადად. მხარეებს შეუძლიათ, მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ისარგებლონ წარმომადგენლის დახმარებით. ამასთან, მხოლოდ წარმომადგენლის გამოცხადების შემთხვევაში მხარე ჩაითვლება გამოუცხადებლად.

**შეიძლება თუ არა მედიაციას დაესწრონ
გარეშე/მესამე პირები, გარდა მხარეებისა და მათი
წარმომადგენლებისა?**

მხარეებისა და მათი წარმომადგენლების გარდა, სხვა პირების დასწრება მედიაციის პროცესში შეთანხმებული უნდა იყოს მეორე მხარესთან და მედიატორთან.


**შეიძლება თუ არა სასამართლოში სარჩელის წარდგენამ-
დე მიემართო მედიატორს?**

2013 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობა აწესებს და აწესრიგებს მხოლოდ სასამართლო მედიაციას. სასამართლო მედიაცია ხორციელდება კანონით განსაზღვრულ დავებზე, მხოლოდ სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ. თუ თქვენ გსურთ მიმართოთ მედიატორს სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე, კანონმდებლობა ამას არ კრძალავს. გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოს გარე მედიაციის შემთხვევაში სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას მედიატორის კვალიფიციურობაზე და არც სხვაგვარად აწესრიგებს სასამართლო გარე მედიაციის პროცესს.

სად შეიძლება მივიღო მეტი ინფორმაცია სასამართლო მედიაციის შესახებ?

დამატებითი აქტუალური ინფორმაციისათვის გაეცანით თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდს:

<http://www.tcc.gov.ge>



giz



Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development



USAID
აშშ-ს ეკონომიკური და განვითარების სააგენტო

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის
და სასწრაფო გაცხადების პროექტი

